


## გურიაში სახელმწიფო რწმუნებული მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წარმომადგენლებს შეხვდა



გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძესთან** ერთად მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წარმომადგენლებს შეხვდა.

IOM - ის წარმომადგენლებმა მხარის რწმუნებულს ანასეულში ჩატარებული სოციალურ-ეკონომიკური კვლევის შედეგები გააცნეს, სადაც მოქალაქეების მიერ გამოკვეთილ თემის გაძლიერებისათვის საჭირო პრიორიტეტებზე ისაუბრეს.

ასევე, იმსჯელეს დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის საკითხზე და სამომავლო თანამშრომლობის გეგმები დასახეს.


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 22 (10458) 6 ოქტომბერი


## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს პოლონეთის დელეგაცია სტუმრობდა



მიმდინარე წლის 26-28 სექტემბერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს „გურიის ხილის აკადემიის“ ფარგლებში სტუმრობდა პოლონეთის დელეგაცია – ტარჩინის გმინის მერის ხელმძღვანელობით.

ვიზიტის ფარგლებში პირველი შეხვედრა ჩოხატ-აურის მუნიციპალიტეტის მერ **დავით შარაშიძესთან** გაიმართა., რომელშიც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი კუჭავა** მონაწილეობდა.

შემდეგ სამუშაო შეხვედრა გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან, მეწარმეებთან, მედიის წარმომადგენლებთან.

ტარჩინის მუნიციპალიტეტის მერმა ისაუბრა ერთობლივი პროექტების განხორციელების პერსპექტივებზე.

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით ჩოხატაურში განხორციელდება პროექტი „გურიის ხილის აკადემია“. პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალური საწარმოს შექმნას, რაც ადგილობრივ ფერმერებსა და მეწარმეებს დაეხმარება პროდუქტის რეალიზაციაში.

დელეგაციის წარმომადგენლებმა მოინახულეს გურიის ღირსშესანიშნაობები და ტურისტული ადგილები.

## ძლიერმა წვიმამ გურიის რეგიონში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურა დააზიანა



**ალიონი.** ძლიერმა წვიმამ გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურა დააზიანა. ლანჩხუთში სოფელ ქვემო მამათსა და ხორეთში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე** და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** იმყოფებოდნენ, სადაც სტიქიის შედეგებს პირადად გაეცნენ.

*„უხვმა ნალექმა ისევ შეუქმნა პრობლემები გურიის რეგიონს. დაიტბორა გზები, საცხოვრებელი სახლები, დაზიანდა მილხიდები. ისევ განვითარდა გარკვეულ სოფლებში მეწყრული პროცესები სამწუხაროდ. ადგილზე მობილიზებულია ყველა შესაბამისი სამსახური, სამივე მუნიციპალიტეტში ვაგრძელებთ მუშაობას საგანგებო რეჟიმში, არის გარკვეული ადგილები, სადაც დაზიანდა გაზმომარაგების მილები და მიმდინარეობს აქტიურად მუშაობა, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს კომუნიკაციების აღდგენა. ფუნქციონირებს ცხელი ხაზი მუნიციპალიტეტებშიც და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაშიც, ასევე, სამწუხაროდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხორეთში დროებითი გადასასვლელი ისევ დააზიანა უხვმა ნალექმა, ხიდის საპროექტო სამუშაოები უკვე დაწყებულია და უახლოეს მომავალში დაიწყება უშუალოდ სამშენებლო სამუშაოები, რაც შეეხება დროებით გადასასვლელს, როგორც კი ამინდი მოგვცემს ამის შესაძლებლობას, აუცილებლად მოხდება მისი აღდგენა. აქტიურ კომუნიკაციაში ვიმყოფებით ჩვენს მოქალაქეებთან, სამწუხაროდ, ასევე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დაზიანდა სასაფლაოს კედელი, რომელიც, ასევე, მყისიერად იქნება აღდგენილი როგორც კი ამინდი ამის შესაძლებლობას მოგვცემს“,* – აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა.

## „გვიშველეთ, დაგვეხმარეთ“

**ალიონი.** 3 ოქტომბრს ადრე დილიდან დაწყებული რამდენიმე მოქალაქემ დარეკა გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში – გვიშველეთ,დაგვეხმარეთ,შენობაში წყალი დგას, ბავშვებს სკოლაში ვერ ვუშვებთ და ა.შ.

ქ. ოზურგეთში, გამსახურდიას მესამე ჩიხი სახლი 6-ის მცხოვრებლები შველას ითხოვენ.

*– იმის გამო, რომ სახლთან არასწორად დააგეს ასფალტი, რომლის სიმაღლე სახლის სადარბაზო შესასვლელს საკმაოდ აღემატება, სადარბაზოში წყალი დგას და ჩვენი ძალებით მისი ამოტუმბვა შეუძლებელია. დაგვეხმარეთ, ბავშვები სკოლაში ვერ მიდიან, უფროსები სამსახურში* – შეგვატყობინეს ამ სახლის მაცხოვრებლებმა..

ვიხრჩობით წყალში,26 მაისის ქუჩა დაიტბორა ,1, 2, 3, 4, 6 სახლები ცუდ დღეში ვართ, საშველს ვერ ვხედავ ნახევარი მეტრი სიმაღლის წყალია პირველ სართულზე ავინაცვლეთ მეორეზე, მძიმე ავადმყოფები მყავს, ერთი ლოგინად ჩავარდნილი, რა ვქნა როგორ გადავჩეთ. გვიშველეთ– სოციალური ქსელის საშუალებით ავრცელებდნენ განცხადებას 26 მაისის ქუჩის მაცხოვრებლები

3 ოქტომბერს, ღამის 3 საათზე აბობოქრებულმა მდინარემ ე.,ბაზრისწყალმა,გადმოლახა ჯებირები და გრიბოედოვის ქუჩის „უსახელო“ ჩიხის გასწვრივ სახლები დატბორა.

– წყალი ჩემს სავაჭრო ობიექტში შემოიჭრებრა.. ხორცის შესანახი მაცივრები ჩართული მქონდა, დამიწვა. ფინანსური ზარალი ერთია და მაცივრის აღდგენა მეორე – გვითხრა თამაზ ჯიბლაძემ.

– 1,5 მეტრზე დაიტბორა ჩემი სახლის პირველი სართული, 9 აპრილის ქ. №20. აღარაა საშველი – გვწერდა მაიკო ოთხმეზური.

ღამით ძლიერი წვიმის შედეგად დაიტბორა გმირთა მოედნის მიმდებარე სავაჭრო და სხვა ობიექტები, მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ოზურგეთის აგრარულ ბაზარში.



## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 80 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 3,20 ლარი,**
**სამი თვით – 9,60 ლარი,**
**6 თვით –16 ლარი,**
**ერთი წლით – 32 ლარი.**

***გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.***

***ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.***

***რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.***

***რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.***

***გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.***



### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*

**ნუგზარ ასათიანი**

**nugzarasatiani15@gmail.com**

**558 499100**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*

**გიორგი გოგოლაძე**

**gia_77@mail.ru**

**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100


გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

**ეაინყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა წუთიერი დუმილით დაიწყო



საკრებულოს წევრებმა, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, საომარი მოქმედებების დროს გარდაცვლილთა და 8 სექტემბერს გურიაში მომხდარი სტიქიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას პატივი წუთიერი დუმილით მიაგეს.

დღის წესრიგის გაცნობამდე, საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიამ** 8 სექტემბერს მომხდარ სტიქიაზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ *„ადგილობრივი, ცენტრალური ხელისუფლების, ოპერატიულად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შესაძლებლობის მაქსიმუმი გაკეთდა დაზარალებულთა დასახმარებლად. ამ ეტაპზეც აქტიურად მიმდინარეობს სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები და არც ერთი დაზარალებული ოჯახი ყურადღების გარეშე არ დარჩება.“* ასევე, მადლობა გადაუხდა ყველას გამოხატული თანადგომისთვის და მხარდაჭერისთვის. მანვე, ქვემო ნატანების საჯარო სკოლაში განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრა. მისივე განცხადებით, უკვე გამოცხადებულია ტენდერი და მალე დაიწყება სკოლის სრული რეაბილიტაცია.

საკრებულომ, დღეს, სხდომაზე ორი განკარგულების პროექტი დაამტკიცა. ესენია: მუნიციპალიტეტის „მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა“ და „საკრებულოს 2023 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმა.“

საკრებულომ, მოისმინა და ცნობად მიიღო, 2022-2023 წლის 9 თვის მდგომარეობით ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირების დახმარების და პროგრამის შესრულების შესახებ და იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრივად გამოყენების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, – რომელიც მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის უფროსმა **მაიზერ ცელაძემ** წარმოადგინა.

# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში საგანგებო შტაბი შეიქმნა



ძლიერმა წვიმამ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში პრობლემები შექმნა. დატბორილია ოჯახები, დაზიანებულია საგზაო ინფრასტრუქტურა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია საგანგებო შტაბი. მერიის შესაბამისი სამსახურები სტიქიის ზონაში იმყოფებიან.

8 სექტემბრის სტიქიამ სოფელ ხორეთში ხიდი დააზიანა. მოეწყო დროებითი გადასასვლელი გზა, რათა მოსახლეობას გადაადგილება შესძლებოდა. აღნიშნული სამუშაოები საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შეასრულა და 4 დღეში დროებითი ხიდი მოაწყო, რაზედაც ფინანსური რესურსი არ დახარჯულა. 3 ოქტომბრის სტიქიამ აღნიშნული სოფელ ხორეთში მდინარემ წაიღო დროებითი გზა. და დროებით ხიდზე გავლა შეუძლებელია.

დაწყებულია ძველი ხიდის დემონტაჟი და უახლოეს დღეებში დაიწყება ახალი ხიდის მშენებლობა, თუმცა მანამდე ისევ დროებითი გადასასვლელი გზის მოწყობაა საჭირო, რათა მოსახლეობამ გადაადგილება შესძლოს. მობილიზებულია ტექნიკა და საჭირო ინფრასტრუქტურული მასალები, რათა დროულად მოხდეს დროებითი კონსტრუქციის მოწყობა.



## ლანჩხუთელი დავით ირემაძე მკლავჭიდის კარა მსოფლიო ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონი გახდა

ალმა-ათაში მკლავჭიდის კარა მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა, სადაც ვიცე-ჩემპიონი გახდა დავით ირემაძე (ლანჩხუთი, ნინოშვილი, კოოპერატივი "ჩიბათი")

# საკრებულოს სხდომაზე „ქართული ოცნების“ და ნაცმოძრაობის დეპუტატები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მმართველი პარტიისა და ნაცმოძრაობის დეპუტატები ერთმანეთს კვლავ დაუპირისპირდნენ.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიამ** სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგი გააცნო და სოფელ ქვემო ნატანების საჯარო სკოლაში მომხდარ ჭერის ჩამონგრევის ფაქტზე გააკეთა კომენტარი:

– *ჩვენ გვქონდა სკოლის ავარიულ მდგომარეობაზე ინფორმაცია და შესაბამისი უწყებებიც ჩავაყენეთ საქმის კურსში .ოქტომბერში გამოცხადდება ტენდერები, ვიწყებთ ზემო ნატანების სკოლის დემონტაჟს და ქვემო ნატანების სკოლის*



რეაბილიტაციას – თქვა მან.

სხდომაზე სიტყვით გამოსვლა ნაციონალმა დეპუტატმა **თათია ნიკოლაშვილმა** დააპირა, რომლის პირველი სიტყვები 8 სექტემბრის სტიქიით დაზარალებულებს შეეხებოდა.

ნიკოლაშვილს განცხადების გაკეთების საშუალება უმრავლესობის დეპუტატმა **ქეთი ხომერიკმა** არ მისცა. მან მაგიდიდან დღის წესრიგი აიღო, დახია და ნიკოლაშვილს სახეში მიაყარა. ქეთი ხომერიკს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **მარიკა ჩხიკვიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ნინო ჭანიშვილი** და კიდევ რამდენიმე ქალი დეპუტატი მიეშველა და ნიკოლაშვილმა განცხადების დასრულება ვერ შეძლო.

*–„ვინ მოგცათ ლაპარაკის უფლება, რეგლამენტს რატომ არ იცავთ,“ „უსირცხვილოვ,“ „სისხლისმსმელებო“* –ასე მიმართავდნენ ნაცმოძრაობის წევრებს მმართველი პარტიის დეპუტატები.

ოპოზიციიდან კამათში **დავით მჟავანაძე, ბესო ქათამაძე, თორნიკე გოგუაძე** ჩაერთვნენ.

დარბაზში იმდენად დაძაბული მდგომარეობა იყო, საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა შეწყვიტა და ნახევარსაათიანი შესვენება გამოაცხადა.

შესვენებაზე პოზიცია-ოპოზიციამ ცენტრალური ტელევიზიების კამერების წინ გაცვალეს კომენტარები.

სხდომის განახლების შემდეგ ნაცმოძრაობის დეპუტატები დარბაზში არ დაბრუნებულან. ისინი აცხადებდნენ, რომ პროტესტის ნიშნად დატოვეს დარბაზი.

მოგვიანებით მათ ცენტრალური და რეგიონული მედიასაშუალებებით გააკეთეს განცხადება, რომ საკრებულოს თავმჯდომარემ აღიარა, რომ ავთანდილ თალაკვაძემაც და შესაბამისმა სტრუქტურებმაც იცოდნენ რამხელა საფრთხის ქვეშ იყო ნატანების სკოლის, 500-მდე მოსწავლე, მაგრამ არაფერი გააკეთეს, მანამ, სანამ 2 ადამიანი არ დაშავდა

ამის გამო ისინი ამ ფაქტის სამართლებრივად შეფასებას მოითხოვდნენ.

მომხდარზე საქმე აღძრულია სსკ-ის 124–ე მუხლით, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებას გაუფრთხილებლობით.

# შეკვეთილში, მდინარე ნატანებთან არსებული ხიდის სავალი ნაწილი დაზიანდა



ძლიერი წვიმის გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შეკვ-ეთილი-ქობულეთი-ჩაქვი-მახინჯაურის (გვირაბის შემოსავლელი) საავტომობილო გზის კმ0+400 მონა-კვეთზე, შეკვეთილში, მდინარე ნა-ტანებთან არსებული ხიდის სავალი ნაწილი დაზიანდა. აღნიშნულ მონაკვეთზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა

ადგილზე იმყოფებოდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და კონტრაქტორი ორგანიზაციის სპეციალისტები. დაწყებულია დაზიანებული მონაკვეთის აღდგენისთვის საჭირო ტექნიკის მობილიზება.

დაზიანებული ხიდის აღდგენის პერიოდში, ავტოტრანსპორტი დროებით იმოძრავებს საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის გავლით –აღნიშნულ განცხადებას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს.

# 2030 წლისათვის სათბური ემისიები 30 პროცენტით უნდა შემცირდეს



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებს მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **გიორგი ლურჯუმელიძემ** გააცნო.

გიორგი ლურჯუმელიძემ განაცხადა, რომ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ევროპულმა კავშირმა, შეიმუშავა ინიციატივა — მერების შეთანხმება, რომელიც ეხმიანება ენერგეტიკისა და კლიმატის პოლიტიკას და აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივ თვითმმართველობებს.

დღეისთვის შეთანხმება 57 ქვეყნის 7 000-ზე მეტ ადგილობრივი ხელისუფლების სუბიექტს აერთიანებს. 2022 წლის მდგომარეობით, მერების შეთანხმებისთვის საქართველოდან 26 მუნიციპალიტეტს აქვს ხელი მოწერილი. მათ შორის არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.

მერების შეთანხმების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობები ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას, გადადგან ქმედითი ნაბიჯები და ადგილობრივი პოლიტიკის გატარებით წვლილი შეიტანონ კლიმატის კრიზისის დაძლევაში. მერების შეთანხმება ორიენტირებულია თვითმმართველი ერთეულების დაბალემისიიან განვითარებასა და მედეგობის გაძლიერებაზე და ეფუძნება შემდეგ სამ მიმართულებას:

**მიზანი:** შენობებისა და ტრანსპორტის სექტორებში ენერგიის არა-რაციონალური მოხმარების შემცირების გზით სათბურის აირების გაფრქვევების შემცირება 30%-ით.

**ამოცანები:**

- მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია ენერგოეფექტური მი-დგომების გამოყენებით;
- არამუნიციპალური და საცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია ენერგოეფექტური მიდგომების გამოყენებით;
- ქუჩებისა და შენობების ფასადების ენერგოეფექტური ნათურების განათება;
- ტრანსპორტის დაბალემისიიანი განვითარება;

**მიზანი:** ექსტრემალური ამინდის მიმართ მოსახლეობის საადაპტაციო პოტენციალის გაუმჯობესება

**ამოცანები:**

- წვანე სივრცეებისა და სარ-ეკრეაციო ზონების/სკვერების მოწყობა/განვითარება;
- ექსტრემალურ ამინდთან ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა/განვითარება;
- ცნობიერების ამაღლება კლიმატის ცვლილებით გამწვავებული დაავადებების შესახებ;
- კლიმატის ცვლილების მიმ-ართ სოფლის მეურნეობის სექტორის საადაპტაციო პოტენციალის გაუმჯო-ბესება;

გარდა ემისიების შემცირებისა და ენერგიის დაზოგვისა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის განხორციელებას თან სდევს სოციალური, გარემოსდაცვითი და ფინანსური თანასარგებელიც.

- გაუმჯობესდება ცხოვრების ხარისხი და მოქალაქეთა ჯანმრთე-ლობა;
- აშენდება სტიქიური მოვლე-ნებისადმი მედეგი ინფრასტრუქტურა;
- თავიდან იქნება აცილებული მოსავლიანობის შემცირება;
- რაციონალურად მოიხმარება ენერგია;
- დაიზოგება კომუნალური გა-ასახადები;
- დაიზოგება ბუნებრივი რესურსები;
- შემცირდება სათბურის აირების ემისიები;
- მოიზიდება ინვესტიციები.
- კლიმატის ცვლილების შე-რბილება;

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;

მდგრად, საიმედო და ხელმისწავდომ ენერგიაზე წვდომა.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხედვაა 2030 წლისთვის, ბიზნესის ტრადიციული გზით განვითარების სცენართან შედარებით, მუნიციპალიტეტის საზღვრებში სათბურის აირების ემისიების 30%-ით შემცირება გეგმით განსაზღვრული სექტორების მიხედვით, კლიმატის ცვლილების მიმართ მუნიციპალიტეტის ყველაზე მოწყვლადი სექტორებისა და სფეროების მედეგობის გაძლიერება და მუნიციპალიტეტის მდგრადი და ხელმისაწვდომი ენერგიით უზრუნველყოფა.**

# სოფელ ნაგომარში ადიდებულმა მდინარემ ხიდი წაიღო



**ალიონი.** ბოლო ორი დღის განმავლობაში ძლიერი წვიმების შედეგად ძლიერ ადიდდა მდინარეები.

მდინარე ყურეფა სოფელ მზიანს და ნაგომარს გაყოფს და მდინარე სუფსასას უერთდება. 3 ოქტომბერს, ღამით ადიდებულმა მდინარემ სო-ფლის ცენტრალური ხიდი წაიღო.

*—მდინარე ყურეფას ახასიათებს წყალმოვარდნები. 2017 წლის 17 ოქტომბრის წყალდიდობასა მიაყენა სოფელს მატერიალური ზარალი. ახლა კი სოფლის ცენტრიდან მთა-ვარი დასახლებებისკენ ( ჯანაურა, შუა ისნარი, მაღალი ეწერი) დამაკ-ავშირებელი კაპიტალური ხიდი წაიღო* — გვითხრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა სოფელ ნაგომარში **მიხეილ ცქვიტიშვილმა.**

მისივე თქმით, ამ ეტაპზე მოსახლეობას შემოვლითი გზით მშვიდობაურიდან მაღალი ეწერის გზით შეუძლიათ ისარგებლონ. მიყენებე-ული ზარალის ოდენობა დგინდება.

# ბახვი ჰესის ტრენინგები განახლდა



2023წლის სექტემბრის თვიდან, შპს ბახვი ჰესისმიერ, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეთანხმებული სოციალური პროგრამის საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში, არაფორმალური სახის სასწავლო ტრენინგ კურსიმთისპირისა და ჩხაკაურას სკოლებში განახლებული პროგრამით დაიწყო. პროგრამას 2023 წლიდან დაემატა ისეთი საკითხები, როგორიცაა ინფორმაცია კლიმატის ცვლილების შესახებ და მისი მართვა, ეკოლოგია, ბუნებრივი კატასტროფების ამოცნობის ნიშნები და საჭირო უსაფრთხოების ზომების გატარება. გასულ წლებთან შედარებით, სწავლება მიმართულია მოსწავლეების გაცილებით მეტი ჩართულობაზე.სწავლების მიზანია, მთისპირისა და ჩხაკაურას საჯარო სკოლების IX, X, XI, XII კლასების მოსწავლეებში,ცნობიერების ამაღლება შემდეგ საკითხებზე: როგორ ვუფრთხილდებით გარემოს და როგორ ვიყენებთ ბუნებრივ რესურსებს გონივრულად; ნარჩენების მართვა და მისი აუცილებლობა; პროექტების წერის უნარების გამომუშავება; რეციკლირება და მისი აუცილებლობა კლიმატის ცვლილების კონტექსტში; სტიქიური მოვლენებისა და ბუნებრივი კატასტროფების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;სტიქიური მოვლენების დროს ქცევისა და უსაფრთხოების წესების შესახებ ცნობიერების ამაღლება;ენერგოუსაფრთხოებისა და ბუნებრივი რესურსების შესახებ წარმოდგენის შექმნა; *,,ყოველ წელს ვფიქრობთ იმ ახალ მიმართულებებზე გარემოს დაცვის კუთხით, რომელიც აქტუალური ხდება მსოფლიოში. შესაბამისად, ვაახლებთ პროგრამას, რათა მანუპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს. ჩვენი განახლებული სალექციო კურსის მეშვეობით, მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე. იმედი გვაქვს, ისინი ყოველდღიურ ცხო-ვრებაში შემოიტანონ და დანერგავენ ახალ ჩვევებს, რითაც გაუფრთხილდებიან ბუნებას, ცოდნას სხვებსაც გაუზიარებენ, მაგალითად მეგობრებს, უმცროს და-ძმებს, ოჯახის წევრებს“* - განაცხადა **დავით კობერიძემ,** ბახ-ვი ჰესის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა.

ბახვი ჰესის მოცემული საგანმანათლებლო პროგრამა 2023 წლის სექტემბრიდან 2024 წლის ივლისამდე განხორციელდება და და მოიცავს 11 შეხვედარს, ასევე, ერთ ექსკურსიასა და პრეზენტაციას, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს გადაეცემათ სერტიფიკატები. გარემოსდაცვით საფუძვლებსა და განახლებადი ენერგიის მოდულს წარუძღვებაგიორგი ბერეჩიკიძე,საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის ტყის დაცვის სამმართველოს უფროსი; კომუნიკაციების შესახებშეხვედრას ჩაატარებს ხათუნა იოსავა, საზოგადოებასთან ურთიერთობის ექსპერტი, კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი 2015 წლიდან. კომუნიკაციის ლექციის ფარგლებში, ახალგაზრდები ბევრს გაიგებენ მედიაზე და მის როლსა და ფუნქციაზე საზოგადოებაში, ასევე,ისწავლიან როგორ განასხვავონ ნამდვილი და ,,ფეიკ“ ანუ გამოგონილი, გაყალბებული ამბავი ერთმანეთისგან.

ბახვი ჰესიმდინარე ბახვისწყალის ხეობაში ბახვი 1 და ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურების განმავითარებელი კომპანიაა.კომპანიის სოციალური პროგრამირების საგანმანათლებლო ნაწილის ერთ-ერთი კომპონენტია განახლებად ენერგიებსა და გარემოსდაცვით საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით შემუშავებული ტრენინგები მთისპირისა და ჩხაკაურას უფროსკლასელთათვის. პროექტი 2022 წლის გაზაფხულიდან არსებობს და უკვე მეოთხე სემესტრია რაც ტარდება.

# ბახვი ჰესის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მრჩეველთა საბჭოს შეხვედრა გაიმართა



2023 წლის 25სექტემბერს, ბახვი ჰესის მენეჯმენტის დაკომპანიისმიერ დაარსებულ გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს 2023 წლის მეოთხე შეხვედრა გაიმართა.მრჩეველთა საბჭოს წევრებს ბახვი ჰესის გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა, დავით კობერიძემ სოციალური პროგრამის განვითარებისშესახებ ინფორმაცია მიაწოდა. კერძოდ, საბჭოს წევრებმა მოისმინეს ტყის განაშენიანების გეგმის მომზადების პროგრესი, ბახვი 2 ჰესის წინასამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებული ადგილობრივი პირების სტატისტიკა, ვანისქედში წყლის სისტემის მშენებლობის პროგრესი, რომელიც 46 ოჯახისთვის წყლის მიწოდებას გულისხმობს და ასევე, გაეცნენ მთისპირისა და ჩხაკაურას სკოლებში ახალი კურიკულუმის მიხედვით განახლებულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც გარემოსდაცვითი და განახლებადი ენერგიების შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

გურიაში უკვე, მეორე დღეა იმყოფება გარემოსდაცვისა და სოციალური პროექტების საერთაშორისო ექსპერტი, ბატონი **პიერ ბიდერმანი,** რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო ბახვი ჰესის მიერ წარმოებული წინა სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგის შედეგები. პიერ ბიდერმანთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. საბჭოს წევრებმა მიიღეს ამომწურავი პასუხები ყველა მათთვის საინტერესო საკითხებზე. კითხვები ძირითადად ეხებოდა გარემოსდაცვით თემებს. მაგალითისთვის, თევზსავალი და მისი ეფექტიანი მართვა, მშენებლობის დროს სანაყაროების მოწყობა. თავის მხრივ, პიერ ბიდერმანსაც ჰქონდა კითხვები საბჭოს წევრების მიმართ, ის დაინტერესედა საბჭოს წევრების მოსაზრებებით, თუ როგორ აფასებენ საბჭოს ქმედითუნარიანობას, კომუნიკაციის არსებულ ფორმას კომპანიას, საბჭოს წევრებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის. საბჭოს წევრებმა ისაუბრეს საკუთარ როლსა და გაზრდილ პასუხისმგებლობებზე, რომელიც გააჩნიათ მოსახლეობის მიმართ. ასევე, საბჭოს წევრებმა აქცენტი გააკეთეს იმ ფაქტზე, რომ მათი მხრიდან მუდმივად ხდება კრიტიკული საკითხების წამოწევა და განხილვა კომპანიის წარმომადგენლებთა ერთად.

შეგახსენებთ, ბახვი ჰესის გარემოს დაცვითი და სოციალური საკითხების მრჩეველთა საბჭო კომპანიის ინიციატივით შექმნილი სათათბირო ორგანოა, რომლის მიზანი, დაინტერესებული მხარეების მეტი ჩართულობა და ჰიდროელექტროსადგურების პროექტების მეტი გამჭვირვალობაა. საბჭო ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებიდან ნომინირებული 12 დამოუკიდებელი წევრისაგან შედგება. საბჭოში სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები არიან გაერთიანებულები, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია და ბიზნესი.

**დაფინანსებული ფართი**

# დედისერთა ჟურნალისტი ძმის დასაბრუნებლად




ნაზი მეშველიანი ადამიანია, რომელმაც ორი თვე, ომის წინა ხაზზე, იარაღის ნაცვლად ფოტოაპარატით ხელში გაატარა. საუბარია ქართველ ჟურნალისტსა და აფხაზეთის ომზე.ნაზი იქ პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად წავიდა და საკუთარ თავს დიდად საპასუხისმგებლო საქმე დააკისრა. მისი ყოველი ნაბიჯისა და სიტყვის უკან ადამიანთა სიცოცხლე, საკუთარი ქვეყნისა და სამშობლოს ბედი იდგა. იქ მომხდარი ისტორიების გახსენება რთულია, მაგრამ განა შეიძლება იმ ჟურნალისტის ისტორია მიეცეს დავიწყებას, რომელმაც საკუთარ სიცოცხლეზე უარის თქმით, 5 ადამიანი გადაარჩინა და სამშობლოსათვის საკუთარ ხელში არსებული იარაღით იომა? ნაზი წალკაში ცხოვრობს და ჟურნალისტურ საქმიანობას კვლავ აგრძელებს.

ჩემს წინ ზის ქალი, რომელიც ცისფერი თვალებით, ჩემი სტუმრობით გახარებული სახით მიყურებს, მაგრამ ომისა და დაკარგული სამშობლოს გახსენების დროს, ეს თვალები სევდით ევსება.

ყველაფერი ბიძაშვილის სტუმრობით დაიწყო, რომელიც ომში იმყოფებოდა და აფხაზეთიდან ამბები ჩამოიტანა. ამ დროს ნაზი 25 წლის იყო და ჟურნალისტური საქმიანობა ახალი დაწყებული ჰქონდა, მაგრამ გაიგო, რომ მისი სამშობლო გასაჭირში იყო და დახმარების სურვილმა იგი ომის წინა ხაზამდე მიიყვანა. „იმდენად მინდოდა რაღაც გამეკეთებინა, რომ ბევრი არც მიფიქრია. ინფორმაციის ნაკლებობა იყო, ნორმალურად არც კი ვიცოდით იქ რა ხდებოდა, ამიტომ როგორც ჟურნალისტმა, ისე გადავწყვიტე წასვლა. ჩემი წვლილი მინდოდა შემეტანა, ჩემი ქვეყნისათვის,ჩემი კუთხისთვის,"- იხსენებს ნაზი. დედასთან 1 წლის შვილი დატოვა და ქუთაისის ბატალიონთან ერთად გზას შეუდგა. ომის სიმძიმის გაანალიზებაც სწორედ აქედან იწყება. თავად ოჩამჩირეში ჩამოვიდა, მაგრამ ის ბატალიონი, პირდაპირ ომის წინა ხაზზე გაემზავრა და ნაზიმ 3 დღის შემდეგ გაიგო,რომ მათგან მხოლოდ რამდენიმე ახალგზარდაღა იყო ცოცხალი „20 წლის ბიჭები პირდაპირ ცხელ ხაზზე გადიოდნენ, მეორე დღეს შესაძლოა ცოცხლები აღარ ყოფილიყვნენ და ეს იცოდნენ, მაგრამ მღეროდნენ, იუმორით იყვნენ სავსენი და ერთმანეთს ამხნევებდნენ,"– ამბობს იგი.

ამ ორი თვის განმავლობაში თავს უამრავი რამ გადახდა,„როდესაც იარაღი არ გიჭირას ხელში, თავს როდის დაგესხმებიან, არ იცი.' ომის რეალობას კი ჟურნალისტური პასუხისმგებლობა ემატებოდა, მისი ერთი არასწორი ინფორმაციითაც კი, შესაძლოა, სამშობლოს დასაცავად თავგანწირული მებრძოლებისათვის შეეშალა ხელი და მტრისათვის საქმე გაეადვილებინა. სწორედ ამ დროს შეიტყო იქ მყოფებისაგან, რომ ტყვეების გაცვლის გამო, მოლაპარაკებაზე რამდენიმე ადამიანი მიდიოდა და არც ამ დროს უფიქრა ბევრი. მიუხედავად სხვების წინაალ-მდეგობისა, მტრის მხარეს რამდენიმე ადამიანთან ერთად გაემგზავრა. დანაღმული ველი გაიარა და გადაწყდა, რომ უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცის, ნიკოს და, რომელიც ძმის დასაბრუნებლად მივიდა. „ტყუილი არც იყო, ისინი ჩემი ძმები იყვნენ, მე მათ ძმებად აღვიქვამდი, მაგრამ ეს ხომ შეიარაღებული ადამიანებისათვის უნდა მეთქვა, რომელსაც ჩემი ხალხი ეომებოდა. შესაძლოა, ჩემს ერთ სიტყვასაც კი, ტყვედ ჩავარდნილებისთვისაც მოესწრაფებინა სიცოცხლე და ვინც წამიყვანეს იმათთვისაც,"– იხსენებს იგი. ძალიან ნერვიულობდა, მაგრამ თან გაბედულად, საკუთარი ძმის დაბრუნებას მოითხოვდა. იქ აფხაზი ქალი ნახა, რომელიც ბავშვთან ერთად იყო და საკუთარ შვილს ქართველების მხარეს ეძებდა. ნაზიმ საკუთარი ნათლობის ჯვარი მოიხსნა და ამ ბავშვს გადასცა, დაიმახსოვრე, რომ ამ ადგილას ქართველმა დეიდამ ჯვარი გაჩუქაო. იქ მყოფებიდან ეს ყველამ გაიგო, მაგრამ რეაქცია არავის გამოუხატავს. მოგვიანებით მისი შვილის ამბავი გაიგო და აფხაზებს გადასცა, ისინი მუსლიმანები იყვნენ.

დაკითხვისას განაცხადა,რომ მისი ძმა ოჯახიდან გამოიპარა და არ იცოდნენ ომში თუ მიდიოდა, ისიც თქვა, რომ თავადაც გამოპარული იყო და მხოლოდ ძმის, ნიკოს სახლში დაბრუნება სურდა. „არ მახსოვს იქ რამდენ ხანს ვიყავით, არც ის მახსოვს დანაღმული ველი რამდენად დიდი იყო. ვცდილობდი ნაბიჯები დამეთვალა, მაგრამ ვერ ვითვლიდი, ყოველი ნაბიჯი შესაძლოა საბოლოო ყოფილიყო. ყველაზე ბოლოს მე მივდიოდი, წინ მოსიარულე თეთრ დროშას აფრიალებდა,"– იხსენებს ნაზი. როდესაც წამოსვლა დააპირეს ერთ-ერთმა აფხაზმა ნაზის უთხრა, ფრთხილად, გზა დანაღმულიაო „ეს რომ აფხაზმა მითხრა, არ ვიცი, თან გამაფრთხილა და თან მომიფრთხილდა, ჩვენ ერთმანეთი არ უნდა დაგვეკარგა, ეს ომი არ უნდა ყოფილიყო. იქიდან წამოსვლისას უკვე წინ მე მივდიოდი, რადგან ამჯერად, ზურგიდან თავდასხმის საშიშროება იყო,". ამ ამბიდან რამდენიმე დღე იყო გასული, ნაზის საკუთარი სახელი ოჩამჩირეში მოესმა, ვიღაც ყვიროდა, გაიხედა და ეს ვიღაც ის იყო, ვისთან ერთადაც დანაღმული ველი ორჯერ გაიარა **„ნაზიი, ნაზიი, შენი ძმა გამოვიდა, შენი ძმა, ეს ბიჭები გაჩუქესო. ამათ ვჩუქნით იმ ქართველ ქალსო, დაუბარებიათ,"**– ეს სიტყვები მას ზუსტად ახსოვს,და ვერც ვერასდროს დაავიწყდება, მაგრამ რა იგრძნო ამის გადმოცემა ხომ შეუძლებელია.

მას შემდეგ თბილისში დაბრუნდა, ომის ცხელი წერტილიდან მშვიდ, მზიან დედაქალაქში აღმოჩნდა. რასთან შეგუებაც, იმის მერე, რაც აფხაზეთში იხილა, რთული იყო. „თითქოსდა თბილისი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. ჩვენ არ ვაფასებთ იმას,რაც გვაქვს. ჩვენ რომ მშვიდბის სადღეგრძელოს ვამობთ ხოლმე, არ ვიცით რა არის მშვიდობის ფასი. თბილისში შეიძლებდა გეთქვა, მშვიდობას გაუმარჯოსო და სადღაც რამდენიმე კილომეტრში, სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობდა,"- ეს სიტყვები ბოლოა, რაც ამ პერიოდის შესახებ გაიხსენა.

ნაზი იმის მაგალითია, რომ **ადამიანს სამშობლოსათვის ბრძოლა ავტომატის გარეშეც შეუძლია.** მთავარია სამშობლოს სიყვარული, მისთვის სიკეთის გაკეთების სურვილი და გულში არსებული მოუსვენრობა, რომელიც საშუალებას არ გაძლევს, შენს ხელთ არსებული ყველა იარაღი, საკუთარი მიწისა და ხალხის დასაცავადარ გამოიყენო. საკუთარ შესაძლებლობებს პესიმისტურად არ უნდა შეხედო და გულში არსებულ სამშობლოს სიყვარულს, სამშობლოს გადასარჩენადვე უნდა გაუღო კარი. ის, ვინც არაფერს თმობს, ვერც ვერაფერს იღებს. ნაზიმ საკუთარი სიცოცხლის გარისკვის ფასად, 5 ახალგაზრდა ბიჭის სიცოცხლე გადაარჩინა და იმ დროისათვის, მოსახლეობას ყველაზე საჭირო ინფორმაციას აწვდიდა. ძნელია, ომს უსწორებდე თვალს, დაჭრილ მეომრებს ხედავდე და ახალგაზრდა ბიჭებს სიკვდილთან აცილებდე, მაგრამ რამხელა ბედნიერებაა, როდესაც 5 ადამიანის სიცოცხლეს, სწორედ ამ სიკვდილის კლანჭებისაგან იხსნი და საკუთარ ოჯახებში, დედებთან, მამებთან,მათ მომავალთან დააბრუნებ.

**თამთა თურმანიძე**

# საინფორმაციო შეხვედრები კვლავ გრძელდება



ამჟამად შეხვედრა გაიმართა ბაილეთის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების ეკოკლუბთან. ქარსაფარი ზოლი, მისი მნიშვნელობა და არსებული მდგომარეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში( სოფელ ბაილეთში).

მოსწავლეებს გავაცანით ახალი საკანონმდებლო რეგულაციები ქარსაფარი ზოლის შესახებ — **თამარ ოგანოვა.** დავურიგეთ საინფორმაციო ტრიპლეტები, ვესაუბრეთ მწვანე დერეფნის სარგებლობის შესახებ.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობის გააქტიურება გარემოსდაცვითი მიმართულებით, მითუმეტეს ახლა, გლობალური კლიმატური ცვლილებების ფონზე.

ახალგაზრდებმა გამოთქვა სურვილი, გაავრცელონ შეხვედრაზე მიღებული ინფორმაცია საკუთარ თემში. შეხვედრები კვლავ გაგრძელდება.

პროექტს ,,აქტიური ქალები უკეთესი გარემოსთვის" ახორციელებს გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია ,,ეკო", ",,ქალთა ფონდი საქართველოში" მხარდაჭერით.

**დაფინანსებული ფართი**

# გენდერული თანასწორობა და ბავშვთა ქცევის თავისებურებები



შარშან, შემოდგომაზე, ქალთა ფონდის მიერ გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც ჩვენმა საინიციატივო ჯგუფმა მიიღო მომაწილეობა.

ამ საინიცატივო ჯგუფის წევრებია: **მარიკა ანდღულაძე, ანა სადრაძე, ქეთი ჭყონია.**

პროექტი ეხებოდა გენდერულ თანასწორობას და ბავშვთა ქცევის თავისებურებებს.აღნიშნული პროექტისგანხორციელება დავგეგმეთ დაბა ლაითურის №1, №2, დაბა ნარუჯის საბავშვო ბაღების აღსაზრდელების მშობლებთან და აღმზრდელებათან.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები ,,გენდერული თანასწორობა" და ,,ბავშვთა ქცევის თავისებურებები,"რომლებიც ჩაატარეს მოწვეულმა ტრენერებმა.

ჩატარდა სხვადასხვა საგანმანათლებლო და სპორტული აქტივობები, შეხვედრები მშობლებთან, რომლებიც გამოხატავდნენ საკუთარ მოსაზრებებს, უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას, გეგმავდნენ სამომავლო შეხვედრებს.

პროექტის ფარგლებში სამიზნე საბავშვო ბაღებს და აღსაზრდელებს



გადაეცათ საგანმანათლებლო ლიტერატურა, საკანცელარიო ნივთები, სპორტული ინვენტარი, სათამაშოები.

მოეწყო ბავშვებისათვის თოჯინების თეატრის სპექტაკლის ჩვენება.

ასეთ პროექტში მონაწილეობა ჩვენთვის იყო ახალი გამოწვევა, მაგრამ მთავარი შედეგია: ბედნიერი და გახარებული პატარები, კმაყოფილი საბავშვო ბაღები და პატარებზე არანაკლებ ბედნიერი მშობლები.მათმა უკუკავშირმა მოლოდინს გადააჭარბა, ჩვენმა შრომამ შედეგი გამოიღო.

მადლობა **ქალთა ფონდს,** რომ მოგვცა შესაძლებლობა გაგვეკეთებინა კეთილი საქმე. მოხარული ვიქნებით, შემდგომი თანამშრომლობისათვის.

მადლობა მოწვეულ ტრენერებს: **ავთო თავდიშვილს,თინათინ ჯავახიშვილს,** რომელთა ტრენინგები ძალიან საინტერესო იყო ყველასათვის.

დიდი მადლობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრს და მის ხელმძღვანელს **ლაშა კუტალაძეს** თანამშრომლობისთვის.



# ილია და ანა და გერონტი ქიქოძის პირველი შთაბეჭდილებისა და აღტაცების ამბავი



ახლა კი ნოდარ დუმბაძის წერილს დავუბრუნდეთ, მაგრამ ვიდრე „დიდ ილიას“ გავიხსენებთ, ერთ ამონარიდს მოვიხმობ, ჩემ ერთი ფბ სტატუსიდან.

## დიდი ილია და სამი დუმილის ამბავი

ილიას „აჩრდილში“ ერთი, არცთუ მცირე მონაკვეთი მახსენდება, დუმილისას. სხვა „დუმილებიც“ მახსენდება მათთან ერთად, ერთი დუმილი — მოსმენილი დუმილია, ხოლო მეორე - მრეკავი. პირველის ავტორი **მუხრან მაჭავარიანია**, მეორესი — **ნოდარ დუმბაძე**. სიმართლე გითხრათ, არასოდეს დავინტერესებულვარ — ჯერ დუმილი მოვისმინე, თუ რეკვა გავიგონე დუმილის, ორივე დროულია, ოღონდ მთავარია გაგახსენდეს. დუმილი, რომელიც რეკავს ლექსადაა ჩამოსხმული:

დუმილი რეკავს,
დუმილი რეკავს,
დუმილი რეკავს
ჯვრით,
ალავერდით,
გელათით,
ტბეთით...
ხმა თუა ნეტავ,
ხმა თუა ნეტავ, —
ამ უხმო ხმაზე
რომაა მეტი!
დუმილი რეკავს,
დუმილი რეკავს
დუმილი რეკავს
თვით პეტრიწონით...
მკვდარიც კი თუა
ქართველი ნეტავ, —
ეს რეკვა მისთვის
როა ლიტონი!
დუმილი რეკავს,
დუმილი რეკავს
ზარზმით,
ოპიზით,
ოშკით,
ხახულით
ხან ფერად შვინდი,
ხან ფერად ლეგა, —
რეკავს სამრეკლო —
ხმადაკარგული.
დუმილი რეკავს...

დუმილი, თავს რომ გასმენინებს ერთი წერილის, სულ ერთ აბზაცს აგვირგვინებს, თუმცა სრულად ტექსტია ბევრჯერ წასაკითხი და გასაანალიზებელი, დასაწყისიდან ბოლო აბზაცამდე.

როგორ გინდა ამ ტექსტს რამე ამოაკლო, ამიტომ სრულად გთავაზობთ:

## დიდი ილია

საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, შავ ხავერდზე პატარა, ფრჩხილისოდენა ტყვია დევს, ბერდანის ტყვია, რომელმაც 1907 წლის 30 აგვისტოს ჯერ ილია ჭავჭავაძის და მერე მთელი საქართველოს გულში გაიარა. ახლა დევს ეს ტყვია მუზეუმში, როგორც შემზარავი სახსოვარი, ერის ტკივილისა, განცვიფრებისა, სასოწარკვეთისა, აღშფოთებისა და მრისხანებისა.

ახლა ყველაფერი ეს ისტორიაა, — იტყვის ვინმე, მაგრამ შეიძლება ერისათვის ისტორიად იქცეს ენა, ანბანი, აზრი, გონება და დროშა?! განა შეიძლება წარსულად იქცნენ ჰომეროსი, დანტე, სერვანტესი, რუსთაველი, პუშკინი, ილია, ადამიანები, რომლებიც დროშასავით უძღვიან წინ თავიანთ ერებს, დღიდან დაბადებისა და საუკუნიდან საუკუნეში უნათებენ გზას? ცხადია არა.

ილია იქ დგას, მომავალ საუკუნეებში და ყოველი წელი არათუ განშორებაა, არამედ მასთან დაახლოება.

ადამიანებს ბავშვობაში ვარსკვლავები ისეთი პატარები და ახლობელი გვეჩვენება, როგორადაც კიაფობენ და ჩანან ისინი ცის კაბადონზე. მხოლოდ შემდეგ, ბუნების კარს რომ შევაღებთ, ვხვდებით, თუ რაოდენ დიდია ყოველი მათგანი, რამხელა ენერგიას ინახავს, რა ვეებერთელა მაგნიტური ველი და რაოდენ დიდი მიზიდულობა გააჩნია თითოეულ მათგანს.

სწორედ ასეთი ვარსკვლავია ქართველი ერისთვის უკვდავი სახელი ილია ჭავჭავაძე, რომლისგანაც მარადიული სხივი გამოსჭვივის.

როგორც ყველა დიდი ერისკაცი და მამულიშვილი, ილიაც მთაწმინდას მიაბარა, დამწუხრებულმა საქართველომ, მაგრამ მისი დიდება საფლავში არ ჩაეტია.

წარმოსახვით ქაღალდის ფურცელზე, ასო-ბგერებად, უსწორმასწოროდ განლაგდა და ვიდრე კიდევ ერთხელ გადავიკითხავდი, „აჩრდილის“ სტროფთან კიდევ ერთხელ მიმაახლოვა:

მაგრამ ისეთი მშვიდი, ნარნარი
იყო იმ დღისა ლამაზი დილა,
რომ თვით მყინვარის რისხვა და ზარი
იმ დილის მადლსა დაემორჩილა.
ქვეყანაც იყო დადუმებული,
თითქო დუმილით ყურს უგდებს ცასა, -
და ცაც უღრუბლო და მხიარული
გადმოაფენდა მადლს ქვეყანასა.

აი, აქ კი უნდა შევჩერდე, ახლახან გახსენებულთა გამო, ჩემი გონება მოხიბლულია, მერე რა, რომ სადაცაა გათენდება.

აი, აქ კი უნდა შევჩერდე, ახლახან გახსენებულთა გამო, ჩემი გონება მოხიბლულია, მერე რა, რომ სადაცაა გათენდება.

და აი, გათენდა, არა, ცეცხლის მზე არ ანთებულა, უბრალოდ გათენდა და ვიდრე სამსახურისთვის გავემზადები ერთი ამბის მოყოლასაც მოვასწრებ, ილიას რომ ეხება.

დიდი ხნის წინ მამამ ილიას „მგზავრის წერილები“ მომიყვა, მგონი, ილიას ვლადიკავკაზიდან თბილისამდე მგზავრობის არც ერთი ამბავი არ გამორჩენია. მეორე დღე, ვიდრე აკაკის „ჩემი თავგადასავლის“ თხრობას დაიწყებდა, ბიბლიოთეკაში შეიარა 1957 წელს გამოცემული მგზავრის წერილები ; ვლადიკავკასიდან ტფილისამდე“ მაგიდაზე დადო.

მაგიდა „ჩემი“ იყო, გაკვეთილებს ვამზადებდი იმ მაგიდასთან, როგორც წესი.

პატარა იყო წიგნი, 24 გვერდი სულ და პატარა ვიყავი მე 11 წლის და კიდევ რამდენიმე თვის... კითხვა ახალდაწყებული მქონდა, მოვიდა და, მისთვის უჩვეულოდ, თითქმის ყურში მითხრა: „თუ ვერ შეძლებ, რომ გაიზრდები მერე წაიკითხეო“.

სამწუხაროდ, ახლა ვერც კი ვიხსენებ, თუ რა ვუპასუხე მამას, თუმცა, ფაქტია, კითხვა გავაგრძელე.

ვკითხულობდი ნელა, 15-20 წუთს ერთ ჯერზე.

განა არ მინდოდდა?!

როგორ არ მინდოდა?

როგორ არ ვცადე და მაინც ვერაფრით შევძელი!

რაღაცნაირად მიდიოდა კითხვა, იცით როგორ? მრავალუცნობიან განტოლებას რომ ამარტივებ. იცი ბოლოს და ბოლოს გაამარტივებ, მაგრამ ბევრი ფიქრიც უნდა და ბევრი დროც, ვიდრე საბოლოოდ გაამარტივებ და პასუხს გადაამოწმებ.

გადიოდა დროა და როგორც ადრე ვთქვი, მამალიც ყიოდა და სავარაუდოდ, ვიღაც სადღაც ჩიოდა და მე დავასრულე კითხვა!

დავასრულე და სწორედ იმ დღეს მიუტანა ჩიტმა მამას ამბავი: „თქვენმა გიომ კითხვა დაასრულა, ერთი სული აქვს შთაბეჭდილება გაგიზიაროს და აბა თქვენ იცითო“!

ჰოდა, არ დაახანა მამამ. მოვიდა მაგიდასთან ჩამოჯდა ერთი ხელის გაწვდენაზე და სიყვარულგარეული ხმით მკითხა: „აბა, რომელი ადგილები მოგეწონა ყველაზე უფროო?“

ჩემ პასუხს აქ აღარ მოვიტან. დარწმუნებული ვარ ყველა გურული ადვილად მიხვდება.

„კარგია“ — გააგრძელა დიალოგი მამამ. მოდი, იცი რა ვქნათ დღეს „ჩემი თავგადასავალის“ მოყოლა სხვა დროსთვის გადავდოთ. დღეს კაფკას „მეტამორფოზას“ მოგიყვები.

მე სწორედ იმ დღეს გავიგე გრეგორ ზამზას მეტამორფოზის ამბავი, თუმცა, მანამდე, მამამ სკამი ხელის ერთ გაწვდენამდე ახლოს გადმოდგა, ჩემი პატარა ხელები, საკუთარ ხელებში მოიქცია და მოულოდნელად მკითხა:

— მამა, მზის ამოსვლა, გინახავს?

— არა, ვიუარე მე.

— მაშინ, ამაღამ ადრე დაწექი, მაღვიძარა ექვსისნახევარზე დავაყენოთ და თუ გაგეღვიძება მზის ამოსვლა ერთად ვნახოთ.

— -უფ! რა მაგრია, ვთქვი მე და შაბათისთვის ძალიან ადრე წავიხურე თავზე საბანი.

-

იმ ღამეს მზის ამოსვლა დამესიზმრა.

იმ დღის მერე მე ვიცი როგორ ამოდის მზე...

იმ დღის მერე მე ისიც ვიცი რატომ უნდოდა ერთად გვენახა მზის ამოსვლა მე და მამას...

ვნახეთ!

ოღონდ, მეორე დილით არა!

მერე რა?

არც მე დამწყვეტია გული და არც მამას!

არ დაგვწყვეტია, რადგან:

*„გათენდა. რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიჟრაჟო! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ! მე მგონია, რომ ამ დილას ყოველი ტკივილი ქვეყნისა უნდა დაყუჩებულიყოს, მაგრამ თერგი მაინც ჰბღავის და იბრძვის. სჩანს, ქვეყნის ტკივლი დაუყუჩავია.*

*გათენდა და გაიხმაურა ქვეყანამ ადამიანის ხმითა. დღემ დაიწყო თავისი დაუდეგარი ფაციფუცი. კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულაღტყინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები“.*

იპოვა?

ეთაყვანა?

დარწმუნებული ვარ, კიდეც იპოვა და კიდეც ეთაყვანა...

და იყვნენ მათ შორის გურულები.



ჩვენ რომ აქ გავიხსენებ მათი მსგავსი გურულებიც და მინდა „ჩემი ილიას“ ეს ნაწილი ნოდარ დუმბაძის სიტყვებით დავასრულო. ამონარიდი ჩვენებური ქალბატონის **ლელა ჩხარტიშვილის** სტატიიდან „ჩვენ, ამ კუთხის შვილები, სიყვარულმა შეგვკრიბა“ მოვიტანე. სტატია ჟუნალ „კარიპჭის“2009 წლის 5 მარტს გამოქვეყნდა.

*„გურიაში ისეთი გათენება იცის, იფიქრებ: ამ დილას დაღამება არ უწერიაო. გათენდა... ნათლად გამოჩნდა უბიწო თოვლით დაფარული გურიის მთები, ლაჟვარდოვანი ცა. ისმის მგალობელ ჩიტთა ჭიკჭიკი და ჟღურტული. ნაპირს ასკდება გუბაზოულის აქაფებული ტალღები. გელამუნება და გეფერება ნიავი, რომელსაც ბახმაროს ტყეების საამური სურნელი მოაქვს. სოფლებში ოდებიდან კვამლი ამოდის თეთრ ბოლქვებად. მამლები ყივიან, ძროხები ბღავიან, თხები პეტელებენ, თიკნები კიკინებენ, ქათმები კრიახობენ; კონცხოულაზე უშველებელი მზე შემომდგარა. იგი ნელ-ნელა მაღლა იწევს და ოქროს ჯილასავით ადგება ქვეყანას".*

მართლა კარგი გათენება იცის გურიაში!

კარგ გათენებას კარგი აღმწერი სჭირდება და ჩვენდა საბედნიეროდ გვყავდა და გვყავს ასეთი გურილი ნოდარ დუმბაძის სახით!

დაე, კიდევ ბევრი იყოს!

**გიო კილაძე**

**გაგრძელება. დასაწყისი ალიონი №21**




## ოზურგეთში ღვინის ფესტივალი –„ღვინის დღეები“ გაიმართება

**11 ოქტომბერს, 17:00 საათზე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, ოზურგეთის ჭადრების პარკში, ყოველწლიური ღვინის ფესტივალი - „ღვინის დღეები“ გაიმართება.**

ფესტივალის სრული პროგრამა:

- **17:00-18:00 ღვინის ფარული დეგუსტაცია სომელიესთან ერთად**
- **17:00-19:00 მოწვეული შეფ-მზარეული რუსო დაუშვილის კერძების დეგუსტაცია; ღვინით ხატვა; ექსკურსიები ოზურგეთის მარნებში; ჯ ევი ოვე ისცო**
- **17:00-21:00 ქართული ღვინის დეგუსტაცია და გამოფენა-გაყიდვა; ადგილობრივი კულინარების ეთნო-სამზარეულო: ჭაჭის გამოხდა; პურის ცხობა; ჩურჩხელების ამოვლება; ტრადიციული კერძებით გამასპინძლება; „ღვინის ბარი“- ღვინის კოქტეილების დეგუსტაცია; საგამოფენო სივრცე „საქართველო - ღვინის სამშობლო“**
- **19:00-21:00 კონცერტი: „თეატრალურის კვარტეტი“ და ჯგუფი „კილლაგეს“**

შემოგვიერთდით, ერთად აღვნიშნოთ ღვინის დღეები ღვინის სამშობლოში!

## გიო კილაძის საჯარო ლექცია „ილია, გურულები და კიდევ ბევრი ამბავი“



29 სექტემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიულ მუზეუმში პროექტის „იცოდე შენ, გააცანი სხვას“ფარგლებში საჯარო ლექციაზე თემაზე: „ილია, გურულები და კიდევ ბევრი ამბავი“ წაიკითხა საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ, მრავალი პროექტისა და ნაშრომის ავტორმა, მწერალმა გიო კილაძემ.

ლექციას ესწრებოდნენ საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

# ძმებმა ზურაბიანებმა მთელი ცხოვრება ჭიდაობას მიუძღვნეს



ალბათ ხშირად მოგისმენიათ ფრაზები: „ოზურგეთი ბერძნულ - რომაული ჭიდაობის სამჭედლო", „ოზურგეთი ფალავანთა აღმზრდელი", „ოზურგეთს ბერძნულ - რომაულში ბადალი არ ჰყავს" — ამ რეალობის შექმნაში ლომის წილი ძმებ ზურაბიანებს, სვან ბიჭებს მიუძღვით, რომლებმაც გასული საუკუნის 60 - იან წლებში საცხოვრებელ ადგილად გურია, ოზურგეთი აირჩიეს და მაშინ საყვარელ მახარაძეში ბერძნულ - რომაული ჭიდაობის განვი-თარების ავანგარდში, სულ ახალგაზრდები დადგნენ.

მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა...

ძმებ ზურაბიანებს - ასე ერთად უსახელოდ, მხოლოდ გვარით მოიხსენიებენ, ეს მათი სურვილია და მათი ძმობის სიმტკიცეს უსვამს ხაზს.

დიახ ,დღეს ჩვენი რუბრიკის - „პროფესია მწვრთნელი" სტუმრები - ზურაბ, ირაკლი და აწ გარდაცვლილი იური ზურაბიანები არიან.

საუბარს ცნობილი მწვრთნელები მათი პედაგოგებით კაკო თავართქილაძით და მიშა გოგუაძით იწყებენ, რომლებსაც ოზურგეთში ჭიდაობის სკოლის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით. იქვე სურვილს გვიმხელენ - შეგირდებს, მათი ხსოვნის ტურნირის დამკვიდრება სურთ.

ჭიდაობაა ის სფერო, რომელსაც მთელი ცხოვრება მიუძღვნეს.

ჯერ ტიტულოვანი მოჭიდავეები, შემდეგ კი სახელოვანი მწვრთნელები გახდნენ.

სამწვრთნელო კარიერა, მათთვის სხვა გამოწვევა იყო, სხვა, პასუხისმგებლობა. პროფესია, რომელშიც ბოლომდე იხარჯებიან.

„ჩვენ ჩვენი ბიჭების წარმატებები და მედლები გვახარებს, ალბათ მათზე მეტადაც კი..." ამბობენ და იქვე ვლადიმერი ამატებს : „ყველაზე ძლიერი მოჭიდავე ძმებში იური იყო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. ეს მაშინ დიდი ტიტული იყო... არა, იურა მართლა მაგარი იყო" ყვებიან ძმაზე და თვალები ცრემლით ევსებათ...

როცა საქართველოში ცივი და მძიმე 90 - იანები იდგა. მაშინ ძმები ზურაბიანები ოზურგეთში ჭიდაობას უწევდნენ პოპულარიზაციას და ბრძოლობდნენ იმისთვის, რომ საჭიდაო დარბაზი ჰქონოდათ.

მათი ძალიახმევით და მაშინდელი გურიის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის **იური სიორიძის,** ასევე ცნობილი ოზურგეთელის **თეზიკო ქულიფთარის** დახმარებით, მათ ე..წ. ,,რუდოს დარბაზი "გამოეყოთ, დღემდე იქ არიან და ავარჯიშებენ ბიჭებს.

ის პერიოდიც ახსოვთ, როცა მთელი ორი წელი ანაზღაურების გარეშე იმუშავეს და ვარჯიში არ გაუცდენიათ.

ამას საკუთარ თავს და ბავშვებს ვერ აკადრებდნენ.

მათ ცხოვრებაში ბევრი დასამახსოვრებელი წამი იყო და მოგებით განცდილი სიხარული, რომელიც არასოდეს გაუნელდებათ. თუმცა მაინც 1992 წელს იხსენებენ, როცა დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მსოფლიო პირველობაზე პირველად იასპარეზეს.

მაშინდელი საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის **რომან რურუას** გადაწყვეტილებით საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი რაიონში შეირჩა და ის ზურაბ ზურაბიანი ( მიღწევების გამო ) გახდა.

მერე უკვე ტიტულოვანმა მწვრთნელმა (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი) ძმებთან და სხვა გვერდში მდგომებთან ერთად იმდენი გააკეთა, რომ საქართველომ ეს საპასუხისმგებლო ჩემპიონატი, რომელიც თურქეთში იმართებოდა და 38 ქვეყანა ღებულობდა მონაწილეობას ,მოიგო.

5 მოჭიდავე ფინალში გავიდა. აქედან 3 ფალავანი ზურაბიანების - „რუდოს დარბაზის" აღზრდილები იყო.

ძმები სიამაყით ამბობენ იმასაც, რომ ერთერთი ფინალისტი დღეს მათი ხელმძღვანელი, **კობა ბალავინოვია,** რომელიც საუკეთესო მოჭიდავე, შემდეგში მწვრთნელი გახდა, ახლა კი სპორტის ა (ა) ი პ - ის ხელძღვანელია და ამ მისიას წარმატებით ართმევს თავს.

1992 წლის ჩემპიონატიდან ისიც კარგად ახსოვთ, რომ 38 ქვეყნიდან თითქმის არავინ იცოდა საქართველოს , მით უფრო გურიისა და ოზურგეთის შესახებ და როცა კვარცხლბეკზე დგებოდნენ ჰიმნი კარგა ხანს ვერ მოიძებნა...

მსოფლიო, ევროპა და საქართველო - ძმებს ყველა მოსწავლის ტიტული და აღიარება ზეპირად ახსოვს.

*თენგიზ სირაძე, დავით სირაძე, ბესარიონ ზურაბიანი, იაგო ბოკუჩავა, დავით დოლიძე, გურამ კვერღელიძე, ბექა როყვა, თენგიზ მელუა, თემურ თხილაიშვილი, ლევან ზურაბიანი, ზურა ცინცაძე, ლაშა ლომაძე, გაგა ტულუში* - ეს 90 - იანების თაობაა, რომლებმაც მსოფლიო, ევროპა და საქართველოს ჩემპიონატები არაერთგზის მოიგეს, ან ფინალისტები გახდნენ. ქვეყანას აღიარება, მათ კი დიდი სიხარული მოუტანეს.

მათთვის 1992 წელი მართლაც გამორჩეული თარიღია, როცა სოფელი ოზურგეთი ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი გახდა და თბილისს მოუგო. მაშინდელი სპორტის მინისტრი, აღფრთოვანდა გურიის ამ პატარა სოფლის საჭიდაო მონაცემებით.

მათი აღზრდილების წარმატებები დღესაც ახარებთ, რომლებიც საქართველოს ნაკრებში დღეს ღირსეულ ადგილს იკავებენ.

*დავით ჩხარტიშვილი, გიორგი თოხაძე, იური ლომაძე, გიორგი ხუჭუა, გიორგი გუჯაბიძე.* ასევე ჭაბუკი ერეკლე *თავბერიძე,* რომელსაც სხვების მსგავსად დიდი მომავალი აქვს.

როცა ჭიდაობაზე საუბრობენ თვალში სხვანაირი ნაპერწკალი აქვთ...

ოჯახი თუ საყვარელი საქმე?

ალბათ ტოლობის ნიშანიო გვეუბნება ირაკლი და იქვე ისტორიას იხსენებს : *„ახალგაზრდები ვართ, გუნდი შეჯიბრებაზე მიგვყავს, დღე და ღამე ვარჯიშობთ. სახლში ფაქტობრივად არ ვართ. დილით ავტობუსთან დალილა, ზურას მეუღლე მოვიდა და ზურას უთხრა, რომ ბავშს მაღალი სიცხე ჰქონდა. ზურა კი შეწუხდა, მაგრამ , ავადმყოფ შვილს დედა და ოჯახი მიხედავს და მე 30 ბავშვს ვერ დავალალატებო"* — ჩაჯდა ავტობუსში და წამოვიდა. დალილას თვალები ცრემლით აევსო, მაგრამ რას იზამდა?!

ამაყობენ იმით, რომ ოზურგეთში უძლიერესი საჭიდაო სკოლაა და ამაში მათ წვლილს ხედავენ.

სურვილი და ნატვრა აქვთ - ჩვენ ქალაქში საერთაშორისო სტანდარტების სავარჯიშო ბაზა შეიქმნას.

ოზურგეთმა ორი ოლიმპიელი გაზარდა და ღირსიაო ამის..

**ნინო ვაშალომიძე,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
სპორტულ-გამაჯანსაღებელ
დაწესებულებათა გაერთიანების
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამსახური.

# სკანვორდი



თოვლის; ციური სხეული; ნავთობის საზომი; კლავიშებიანი ინსტრუმენტი; რეგიონი იტალიაში; ძაღლის ჯიში; გეომეტრიული ხაზი; სამარხი; ხელნაწერი ტექსტის გასწორება; უნივერსიტეტის ხელმძღვანელი; ვილა; რელიგიური წიგნი; გურული ვაზის ჯიში; სახელმწიფო ქალაქში; დიდი ქვა; ქალაქი აღმოსავლეთ ევროპაში; მუსიკალური მიმდინარეობა; მწვერვალი აფრიკაში; ღირსება; ქართული ტანსაცმელი; სამშენებლო კონსტრუქცია; რეგიონი რაჭაში; გერმანული ავტომობილი.

## პასუხები:

სურათზე: თორნიკე შენგელია; თოვლის-ფანტელი; სამარხი – აკლდამა; ხელნაწერი ტექსტის გასწორება–რედაქცია; ციური სხეული –კომეტა; უნივერსიტეტის ხელმძღვანელი –რექტორი; ნავთობის საზომი ერთეული –ბარელი; ვილა –აგარაკი; კლავიშებიანი ინსტრუმენტი –როიალი; რეგიონი სამხრეთ იტალიაში –ტოსკანა; რელიგიური წიგნი – ბიბლია; ძაღლის ჯიში –ვანგალი; სახელმწიფო ქალაქში –ვატიკანი; ქალაქი აღმოსავლეთ ევროპაში –ბრატისლავა; ღირსება –რეპუტაცია; მწვერვალი აფრიკაში –კილიმანჯარო; გერმანული ავტომობილი –ფოლკსვაგენი; სამშენებლო კონსტრუქცია –ხარაჩო; გეომეტრიული ხაზი –ქორდა; გურული ვაზის ჯიში –კამური; დიდი ქვა –ლოდი; მუსიკალური მიმდინარეობა –ჯაზი; ქართული ტანსაცმელი –ჩოხა; რეგიონი რაჭაში –ონი.

# ილია ჭავჭავაძის მკვლელობა

(დასაწყისი „ალიონი“ №17-18)




3. ილია შეიძლებოდა მოეკლათ თბილისშიც და საგურამოშიც, მგზავრობისას თუ შინ მყოფი. ამისთვის ქილერის ერთი მარჯვე გასროლა იყო საკმარისი. ამ გზით მკვლელობა რსდმპ ხელმძღვანელობას ხელს არ აძლევდა. **ილია უნდა მოეკლათ გლეხებს და თანაც ისე, რომ მკვლელობაში სოციალ-დემოკრატების კვალი დაფარულიყო.** მკვლელები აუცილებლად ადგილობრივი, ილიას ნაცნობი გლეხები, უნდა ყოფილიყვნენ. ილია გლეხებს უნდა მოეკლათ, როგორც მემამულე, როგორც გლეხების მჩაგვრელი. ამით დაიფარებოდა პოლიტიკური მკვლელობა, მკვლელობა ეროვნული მოძრაობის წინამძღოლისა.

4. ილიას მკვლელობისათვის შერჩეული გლეხები: **გიგლა ბერბიჭაშვილი, გიგოლა მოძღვრიშვილი, თედო ლაბაური, პავლე ფშაველიშვილი (აფციაური), გიორგი ხიზანიშვილი** — მკვლელობაში იდეური მოსაზრებით არ მონაწილეობდნენ, ისინი ილიას მოკვლას გარკვეული საფასურის მიღების სანაცვლოდ დასთანხმდნენ, ანუ ტიპური ქილერები იყვნენ. მათ იმედად მკვლელობის უშუალო ორგანიზატორი ვერ იქნებოდა. ქილერებს შეიძლება ნებისმიერ მომენტში გადაეფიქრებინათ ილიაზე თავდასხმა- (ასეთი შემთხვევები ბევრი იყო 1905-1907 წლებში). ილიას მკვლელობის დამკვეთსა და უშუალო ორგანიზატორს აუცილებლად სჭირდებოდათ უეჭველად დადასტურებული ფაქტი, რომ ილიას ეტლი ადგილობრივმა გლეხებმა გააჩერეს. დანარჩენი მარტო, გლეხებისაგან დამოუკიდებლად მოქმედი პროფესიონალი ქილერის საქმე იყო. იგი ჩასაფრებული იყო და ზუსტად იცოდა, გლეხები ილიას ეტლს სად გააჩერებდნენ. გლეხებმა ქილერის არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ. გიგლა ბერბიჭაშვილის ჯგუფმა ილიას ეტლი გააჩერა. ილიას მცველი, იაკობ ბითარიშვილი, ეტლიდან გადახტა და გზისპირა ბუჩქებამდე მიაღწია და იქიდან თავდამსხმელებისათვის ცეცხლი გახსნა. ამან ტერორისტები დააბნია და შეაშინა: იაკობს შეეძლო მოხერხებული საფრიდან შუა გზაზე მდგარი ტერორისტები ადვილად დაეხოცა. მთელი ყურადღება იაკობ ბითარიშვილზე იქნა გადატანილი. სწორედ ამ დროს გაჩერებული ეტლის უკან ჩასაფრებულმა მარტო მოქმედმა ქილერმა, ვიმეორებთ, მარტო მოქმედმა, ერთადერთი ტყვია გაისროლა. ილია სწორედ ამ ტყვიით არის მოკლული. გასროლის შემდეგ ქილერი შეუმჩნევლად გაეცალა იქაურობას. სწორებ ამიტომაა, რომ ილიას სხეულში ტყვია შევიდა **მარცხენა ილლიის უკანა კიდიდან, ნეკნებს შორის, გაიარა გული და გამოვიდა მარჯვენა ძუძუს დვრილთან, ოდნავ შიგნით (მაცხენა ძუძუს დვრილისაკენ).** ამიტომაა, რომ მარცხენა ილლიის უკანა კიდეზე (ნეკნებს შორის) ტყვიამ დატოვა მცირე დიამეტრის ხვრელი (გამავალი ნეკა თითისათვის), ხოლო მკერდზე (მარჯვენა ძუძუს დვრილთან) — გაცილებით დიდი ზომის ხვრელი (ოვალური ფორმის, სამი სანტიმერტის სიგრძისა). ცნობილია, რომ ტყვია სხეულში შესვლისას ტოვებს მცირე დიამეტრის ხვრელს, ხოლო სხეულიდან გამოსვლისას — გაცილებით დიდს. ილია ჭავჭავაძის გვამის დათვა-ლიერების აქტის (1907 წლის 31 აგვისტო) შესწავლის შედეგად ექსპერტი ბ. კილასონია დაასკვნის: ილიას სხეულზე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული **„ჭრილობის არხის მიმართულებაა მარცხნიდან მარჯვნივ, უკნიდან წინ, ე.ი. ილიასათვის ტყვია ზურგიდან უსვრიათ:“** საწინააღმდეგოდ ამისა, 1907 წელს ჩატარებული ძიების მასალების მიხედვით, რომელიც დაადასტურა 1941 წელს ჩატარებულმა ხელახალმა ძიებამაც, ილია მოკლული იქნა ეტლის წინ მდგარი ტერორისტების ჯგუფიდან გასროლილი ტყვიით. შეიძლება თედო ლაბაური და მკვლელობის სხვა მონაწილეები არც ცრუობდნენ, მათ, უბრალოდ, იმ ალიაქოთში ვერც გაიგეს, ვისმა ნასროლმა ტყვიამ მოკლა ილია. ტერორისტებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმის თაობაზე, რომ იქვე ახლოს ქილერი იყო ჩასაფრებული.

5. ილიას მკვლელობის დამკვეთმა და მისმა უშუალო ხელმძღვანელმა მიზანს ნაწილობრივ მიაღწიეს — საზოგადოება და გამოძიება დააბნიეს. ილიას მკვლელობა ისე ვერაგულად იყო ჩაფიქრებული და განხორციელებული, რომ დღეს მავანს და მავანს კვლავ სჯერა, რომ ილია გლეხებმა აგრარულ ნიადაგზე მოკლეს. კვლავ შევხვდებით ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ილია რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით მოიშორეს თავიდან.

ილიას მკვლელობის დამკვეთისა და მისი უშუალო აღმსრულებლის (ტერორისტებს არ ვგულისხმობთ!) დადგენა ვერ შეძლო ორმა გამოძიებამ და ორმა სასამართლო პროცესმა. ვერც რუსეთის იმპერიისა და ვერც საბჭოთა მართლმსაჯულებამ გაბედა სიმართლისათვის ბოლომდე აეხადა ფარდა. ჭეშმარიტება მხოლოდ ღმერთმა უწყის. მისი მსჯავრი უკვე კარგა ხანია აღსრულდა — ილიას მკვლელობის დამკვეთებსაც, მკვლელობის უშუალო ორგანიზატორებსაც და ტერორისტებსაც თავისი მიეზღოთ.

**ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი (1907-1909 წწ.).** ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ძიება (1907-1909 წწ.) სათანადოდვერ წარიმა-რთა. ძიების უხარისხოდ ჩატარებამ გავლენა იქონია სასამართლო პროცესზე (1909 წ.) და, ცხადია, განაჩენზეც. ძიებამ და სასამართლომ ვერ მიაღწია უმთავრესს — **ვერ გამოავლინა ილიას მკვლელობის დამკვეთი და ვერც მკვლელობის ორგანიზატორი. საუკუნის დანაშაულს არ მიეცა პოლიტიკური მკვლელობის კვალიფიკაცია.** პასუხი ვერ გაეცა უამრავ კითხვას. დღეს, ილიას მკვლელობიდან ერთ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, ძალზე ძნელია, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც კი, გამოიკვლიო და დაადგინო ის, რაც უნდა გამოკვლეულიყო და დადგენილიყო მკვლელობიდან რამდენიმე დღის, თუნდაც რამდენიმე კვირის განმავლობაში.

ილიას მკვლელობის მასალების მოკვლევით დაკავებული იყო რამდენიმე უწყება: 1. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტი და მისდამი დაქვემდებარებული თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო, 2. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უშიშროების განყოფილება (ოხრანკა) და მისდამი დაქვემდებარებული თბილისის ოხრანკა, 3. თბილისის პოლიცმაისტერის სამმართველო, 4. თბილისის დროებითი სამხედრო გუბერნატორი და მისდამი დაქვემდებარებული დუშეთის მაზრის მმართველობა. უშუალოდ ძიებას აწარმოებდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამძებრო ნაწილი, უმნიშვნელოვანეს საქმეთა გამომძიებელი **ილიაშენკო,** თბილისის პოლიციის სამძებრო ნაწილი (სამძებრო ნაწილის უფროსი ევტუშევსკი). ძიების პროცესზე ზედამხედველობას ახორციელებდა თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან ილიას მკვლელობის თაობაზე ყველაზე მეტ ინფორმაციას ფლობდა და კომპეტენტური იყო დუშეთის მაზრის უფროსი **ყარამან ფაღავა.** მან იცოდა ყველაფერი, რაც ხდებოდა საგურამოსა და მახლობელ სოფლებში. მაზრის უფროსს აგენტურის ფართო და კარგად ორგანიზებული ქსელი გააჩნდა, ინფორმატორები ჰყავდა მოსახლეობის ყველა ფენაში, განსაკუთრებით, გლეხობაში. ყარამან ფაღავამ უსათუოდ კარგად იცოდა, თუ ვინ არხევდა ხმებს, რომელთა მიხედვითაც ილიას მალე მოკლავდნენ, იცოდა ისიც, თუ ვინ ამზადებდა ილიას მკვლელობას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ილიას მკვლელობიდან ორი კვირის თავზე ყარამან ფაღავასთვის მკვლელობის ყველა მონაწილის ვინაობა იყო ცნობილი. მან დეტალურად იცოდა მკვლელობის მომზადებისა და განხორციელების მთელი ისტორია. გასაგები მიზეზის გამო ყარამან ფაღავას არ შეიძლებოდა რაიმე სცოდნოდა წიწამურთან ჩასაფრებული და დამოუკიდებლად მოქმედი ქილერის შესახებ. ამიტომ იყო, რომ ყარამან ფაღავა ილიას იმ გლეხების მოკლულად მიიჩნევდა, რომელთაც ეტლი გააჩერეს. რაც მთავარია, **ყარამან ფაღავამ იცოდა, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დაგეგმეს და განახორციელეს სოციალ-დემოკრატებმა, ე.ი. ეს იყო მკვლელობა პოლიტიკური მოტივით**. იმ ადამიანებს შორის, ვინც ილიას მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობას იღებდა, რსდმპ რამდენიმე წევრი იყო, რსდმპ წევრი იყო ასევე თავდამსხმელთაგან ორი. ყარამან ფაღავა კატეგორიულად გამორიცხავდა ყველა სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ვერსიას (მკვლელობა ძარცვის მიზნით, მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე, სომეხი ნაციონალისტების მიერ შეკვეთილი მკვლელობა).

დუშეთის მაზრის უფროსს ილიას მკვლელობის საქმის ძიების უფლება არ ჰქონდა, მას მხოლოდ მასალების მოპოვება ევალებოდა. ყარამან ფაღავას ვერსია დამაჯერებლად ეჩვენა თბილისის დროებით სამხედრო გუბერნატორს. 1907 წლის 1 სექტემბერს სამხედრო გუბერნატორმა ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, შემდეგი შინაარსის დეპეშა გაგზავნა: 30 აგვისტოს, დაახლოებით 12 საათზე, დუშეთის მაზრის სოფელ საგურამოდან ოთხი ვერსის მოშორებით ოთხმა ბოროტმოქმედმა სროლის შედეგად მოკლა სახელმწიფო საბჭოს წევრი თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი ლაქია, კონდახის დარტყმით თავი გაუტეხა (თავის არეში ჭრილობა მიაყენა) თავადის მეუღლეს, ყველანი (ილია ჭავჭავაძე, მისი მეუღლე და ლაქია) გაძარცვეს. მეტად საინტერესო იყო ტელეგრამის დასკვნითი ნაწილი: **„სავარაუდოა, რომ თავადი მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა სოციალ-დემოკრატების წაქეზებით, ძარცვა სიმულირებულია“**. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გუბერნატორმა სახელმწიფო კანცელარიას ყარამან ფაღავას ვერსია აცნობა. ეს არც იყო მოულოდნელი. დუშეთის მაზრის უფროსი უშუალოდ გუბერნატორს ექვემდებარებოდა და გუბერნატორიც ყველაზე მეტად თავის ხელქვეითს ენდობოდა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ყარამან ფაღავამ მიზანს მიაღწია, — თბილისიდან პეტერბურგს ილიას მკვლელობის მისული ვერსია აცნობეს.

მაინც რა გამომდინარეობდა თბილისის დროებითი სამხედრო გუბერნატორის 1907 წლის 1 სექტემბრის დეპეშიდან? **1. ილია ჭავჭავაძე მოკლეს სოციალ-დემოკრატების წაქეზებით, ე.ი. მკვლელობის დამკვეთი იყო სოციალ-დემოკრატია, მაშასადამე, ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა; 2. სოციალ-დემოკრატებმა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ადგილობრივი გლეხების ხელით განახორციელეს; 3. ილია ჭავჭავაძის, მისი მეუღლისა და ლაქიას გაძარცვა სიმულირებული იყო, მაშასადამე, მკვლელობა გლეხებს ძარცვის მიზნით არ ჩაუდენიათ.**

ყარამან ფაღავას მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგინდა: 1. მკვლელების (ტერორისტების) ვინაობა; 2. პიროვნებები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ტერორისტებს; 3. პოლიტიკური ძალა, რომლის ნებითაც განხორციელდა ილიას მკვლელობა. ყარამან ფაღავამ ვერ დაადგინა და არც შეეძლო კონკრეტულად დაედგინა, სად გადაწყდა ილიას მკვლელობა და ვისი მითითებით მოქმედებდნენ თავდასხმის ორგანიზატორები, ანუ ვინ შეუკვეთა მკვლელობა. ეს უკვე ძიების საქმე იყო.

ყარამან ფაღავას მიერ მოკვლეულ მასალაზე დაყრდნობით გამომძიებელმა ილიაშენკომ მიაღწია იმას, რომ თედო ლაბაური 1907 წლის 16 ნოემბერს იძულებული გახდა ელიარებინა, ილიას მკვლელობაში მონაწილეობდნენ: **გიგლა ბერბიჭაშვილი, გიგოლა მოძღვრიშვილი, პავლე ფშაველიშვილი (აფციაური) და ივანე (ვანო) ინაშვილი**..მკვლელობის დამკვეთისა და ორგანიზატორების შესახებ თედო ლაბაურს არ შეიძლებოდა რაიმე სცოდნოდა. ამის თაობაზე გამოძიებას ინფორმაცია სხვა ეჭვმიტანილებისაგან უნდა მოეპოვებინა, თუმცა ეს არ მომხდარა.

1907 წლის დეკემბრიდან ილიას მკვლელობის ძიების საქმე ჩიხში შევიდა, უფრო ზუსტად, შეწყდა ყარამან ფაღავას ვერსიის (სოციალ-დემოკრატების მიერ შეკვეთილი მკვლელობის) დამუშავება. ამ ვერსიის ავტორი, დუშეთის მაზრის უფროსი ყარამან ფაღავა, ჯერ მაზრის უფროსის თანაშემწედ ჩამოაქვეითეს, ხოლო შემდეგ საერთოდ მოაშორეს მაზრის მმართველობას. უფრო მეტიც, ყარამან ფაღავას დაჟინებული მოთხოვნით დაპატიმრებული ეჭვმიტანილები, რომელთა საშუალებითაც ძიებას ილიას მკვლელობის ორგანიზატორები (ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე) უნდა დაედგინა, პატიმრობიდან გაათავისუფლეს. გამოძიებას ხელში შერჩა ის ადამიანები, რომელთაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ არც მკვლელობის ორგანიზატორებზე და, მით უმეტეს, არც მკვლელობის დამკვეთზე. ყოველივე ეს შემთხვევით არ მომხდარა.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობა არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა. ეს მეტად უსიამოვნო ფაქტი იყო თვით კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვისთვისაც კი. რაც შეეხებათ თბილისის გუბენატორებს, ნამდვილ სახელმწიფო მრჩეველს, **პაველ რიუშ ფონ ტრაუბენსბერგს**(1905 წლის 4აგვისტო– 1907 წლის 22 სექტემბერი) და ნამდვილ სახელმწიფო მრჩეველს, **მიხაილ ლიუბიჩ-იარმოლოვიჩ - ლოზინსკის**(1907 წლის 22 სექტემბერი –1911 წლის 10 მაისი) და თბილისის დროებით სამხედრო გუბერნატორს, გენერალ-მაიორ **არტემიევს,** თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსსა და თბილისის ოხრანკის უფროსს, ისინი თანამდებობრივად იყვნენ მოვალენი, დაეცვათ სახელმწიფო საბჭოს წევრი. ილიას მკვლელობის ვერსიებიდან კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციას ყველაზე მეტად ხელს აძლევდა ვერსია **მკვლელობა ძარცვის მიზნით.** უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც მისაღები იყო ვერსია - **მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე.** ყველაზე არასასურველი იყო - **სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებული მკვლელობა ანუ პოლიტიკური მკვლელობა**. პოლიტიკური მკვლელობა სერიოზულად აყენებდა ეჭვქვეშ თბილისის დროებითი სამხედრო გუბერნატორის უწყების, ჟანდარმერიისა და ოხრანკის კომპეტენტურობის საკითხს. რაც შეეხება მკვლელობას ძარცვის მიზნით ან მკვლელობას აგრარულ ნიადაგზე, ეს კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციას თავის მართლების მეტ შანსს უტოვებდა. ყაჩაღთა ბანდის მიერ ძარცვის მიზნით ან აგრარულ ნიადაგზე განხორციელებული მემამულის მკვლელობა, ცხადია, არ აღიქმებოდა ისე მწვავედ, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრის მიმართ პოლიტიკური ანგარიშსწორება.

**ილიას მკვლელობის ორგანიზატორები (ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე) გრძნობდნენ, რომ ძიებას მათი ვინაობის დადგენა ხელეწიფებოდა. ცხადია, მათ არ შეიძლებოდა სცოდნოდათ, რომ გარკვეული მოსაზრებით ხელისუფლებამ თავად თქვა უარი სოციალ-დემოკრატების მიერ შეკვეთილი პოლიტიკური მკვლელობის ვერსიის დამუშავებაზე.** ამიტომ იყო, რომ ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე, თავიანთი მხრიდან, ცდილობდნენ კიდევ ერთხელ დაებნიათ გამოძიება. ასე გამოიდა ასპარეზზე **ალექსანდრ გრეკოვი.**

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

**ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ**

(ვ. გურული ,,საქართვე-ლოს ახალი ისტორია,“ ტ.3. **გვ.539-543)**

# გურია თბილისობაზე



გიორგი ჩიტაიას სახელობის ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში თბილისობა სხვადასხვა სახის ღონისძიებებით აღინიშნა.

გურიის რეგიონმა წარმოადგინა თავისი კუთხის ეთნოგრაფია და კულტურა, გურული კერძების მასტერკლასი. მოეწყო გასტრონომიული კუთხე.

მოეწყო მეწარმეთა პროდუქციისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, პერფორმანსი — გურული სუფრის, სტუმრის გადაპატიჟებისა და ლხინის ინსცენირება, ჩატარდა ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი.

მონაწილეობდნენ: ანსამბლი „ვახტანგური" (ხელმძღვანელი - მამუკა რუსიძე ) და ჯუმბერ დუნდუას სახელობის სახელმწიფო ანსამბლი „გურია"

ღონისძიება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებთან ერთად გაიმართა.

# ოზურგეთელი ჩოგბურთელები აჭარის თასზე წარმატებით გამოვიდნენ!



მარიამ ხარაბაძე და მწვრთნელი დავით თავართქილაძე

26 – 29 სექტემბერს ქ.ბათუმში ჩოგბურთში აჭარის თასის გათამაშება ჩატარდა.

ასპარეზობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების საჩოგბურთო სექციის აღსაზრდელებმა მიიღეს მონაწილეობა და კარგად იასპარეზეს.

პირველი ადგილი ექვსწლამდე ბავშვთა შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიიდან **მარიამ ხარაბაძემ** დაიკავა, რომელმაც ექვსი შეხვედრიდან ოთხი მოიგო.

ტურნირზე კარგად იასპარეზა ყველაზე უმცროსმა მონაწილემ, ნაგომრიელმა **ნანუკა დოლიძემ.**

ტურნირზე ასევე გამოვიდნენ და კარგი მატჩები ჩაატარეს **ელენე** და **ბარბარე მამალაძეებმა, ანანო ვასაძემ ელენე ხარაბაძემ.**

ოზურგეთელი ჩოგბურთელები ასპარეზობისთვის **დავით თავართქილაძემ** მოამზადა.



ნანუკა დოლიძე



# აბაშის დოღიდან ორი მედალი წამოვიღეთ!



30 სექტემბერს აბაშის იპოდრომზე, „აბაშის დოღი - 2023 " გაიმართა.

ასპარეზობა ორ დისტანციასა და კატეგორიას შორის: ორწლიან სუფთა სისხლის ცხენებში ( 1600 მ ) და შერეული ჯიშის ცხენებში ( 1200 მ) გაიმართა.

სუფთა სისხლის ცხენებში ( 1600 მ) პირველი ადგილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა საცხე-ნოსნო სექციის ცხენმა „ნაზლიმ " მოიპოვა, მხედარი - **საბა ხურცია.**

ხოლო მეორე ადგილზე მხედარი **საბა თელია,** ამავე გაერთიანების საცხენოსნო სექციის ცხენით „ პრინცი" გახდა.

მწვრთნელი - **თორნიკე თოდრია.**

# 8 წლის ლაზარე ისევ ლიდერობს!



ოზურგეთელმა 8 წლის **ლაზარე ჩხარტიშვილმა** წარმატებით იასპარეზა თბილისში ალ. ბოკუჩავას თასის 2023 წლის გათამაშებაში. მან 16 წლამდე ასაკის ძლიერ მოწინააღმდეგეებთან, 7-დან 4 ქულა (60%) დააგროვა და რეიტინგიც გაიუმჯობესა. ეს ტურნირი მსოფლიო პირველობის წინ მზადების გეგმის ნაწილს შეადგენდა, რომ-ელიც წარმატებით გაიარა.

ჩემპიონატი 17-24 ოქტომბერს არაბეთში ტარდება.






# შპს „ვასაძის პური"

## გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

ART სივრცე space

შოუ სტუდია

## ART სივრცე აცხადებს მიღებას

**ART** სივრცე - შოუ სტუდია, რომელიც ფუნქციონირებს ოზურგეთის სახელწიფო თეატრში აცხადებს 5-დან 17-წლამდე ასაკის მუსიკალური, ქორეოგრაფიული და თეატრალური ნიჭით დაჯილდოებულ აღსაზრდელთა მიღებას ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის (ბენდი) შოუ ჯგუფის ჩამოყალიბების მზინით.

სწავლება იქნება ნიჭისა და მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით:

**ვოკალში მომზადება, სიმღერის ინდივიდუალური და ჯგუფური შესწავლა** (საესტრადო, ხალხური სიმღერები და საგალობლები);

**მუსიკალურ-დასაკრავ ისტრუმენტებზე დაკვრის შესწავლა;**

**გიტარა** (რიტმი, კლასიკური, ელექტრო, სოლო და ბასგიტარა);

**დასარტყმელი ინსტრუმენტები** (დრამი, ტომტომი და ა.შ.);

**კლავიშებიანი ინსტრუმენტები** (ელ. პიანინო, ორგანი, სინთეზატორი);

**ხალხური ინსტრუმენტები** (ფანდური, სალამური, დიპლიპიტო და ა.შ.);

**ცეკვა** (თანამედროვე და ხალხური ცეკვის ელემენტების შესწავლა, სასცენო მოძრაობა შოუ პროგრამისათვის);

**სამსახიობო ოსტატობა** (მეტყველების კულტურა, მხატვრული კითხვა);

სწავლების პროცესში მოსწავლეები ნიჭის, მონაცემებისა და მიდრეკილების მიხედვით შეირჩევიან და გადანაწილდებიან სხვადასხვა ჯგუფებსა და ანსამბლებში.

**ART** სივრცე-შოუ სტუდია ითვალისწინებს კონცერტებისა და შოუ პროგრამების მოზადებას და წარმოდგენას დიდ სცენაზე. ასევე პიარ კომპანიას სატელევიზო, ბეჭდურ მედიასა და სოციალურ ქსელებში სტუდიის წევრების ნიჭისა და შემოქმედებითი კუთხით პოპულარიზაციის მიზნით.

**ART** სივრცე-შოუ სტუდია ნებისმიერი ასაკის დაინტერესებულ პირებს ასევე სთავაზობს მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრას, როგორც სამოყვარულო, ასევე პროფესიონალურ დონეზე.

**განცხადებები მიიღება სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაციაში.**

**მისამართი, ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქუჩა №1.**

**დაგვიკავშირდით 551 52 50 50.**


| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ღრუბელი +12+21 | მზე, ღრუბელი +12+22 | მზე, +12+24 | მზე, ღრუბელი +9+22 | წვიმა +8+16 | ღრუბელი +10+16 | მზე, +10+19 |
| 6 ოქტომბერი - პარასკევი | 7 ოქტომბერი შაბათი | 8 ოქტომბერი კვირა | 9 ოქტომბერი ორშაბათი | 10 ოქტომბერი სამშაბათი | 11 ოქტომბერი ოთხშაბათი | 12 ოქტომბერი ხუთშაბათი |